

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 357
27/06/2016

357-07-3-201606271744



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს

მ თ ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 22 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომა №8.

დანართი: სხდომის ოქმი №8-4 (ოთხი) ფურცელი

პატივისცემით,

ელგუჯა ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
სხდომის ოქმი №8

ქ.ლანჩხუთი

22.06.2016 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები:ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე(არ ესწრებოდა ,რადგან იყო სამსახურეობრივ მივლინებაში),გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა(არ ესწრებოდა)საორგანიზაციო განყოფილებაში საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტი მათა კუპატაძე და მედიის წარმომადგენლები.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა დაე სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

2.ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ მიერ საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ №283 (20/05/2016) წერილზე საკრებულოს თავმჯდომარის საპასუხო №322 (06/06/2016) წერილის განხილვა.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

3. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო

თარიღის დადგენის თაობაზე სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ, მან აღნიშნა რომ ამ თემაზე პასუხი უნდა მიეღო იურიდიული სამსახურის უფროსისგან, მაგრამ ის არ გამოცხადდა აღნიშნულ სხდომაზე, ასევე მან აღნიშნა რომ საკრებულოს თავმჯდომარემც თავი აარიდა ამ სხდომაზე დასწრებას.

დეპუტატმა კახა ასკურავამ კითხვით მიმართა საკრებულოს იურისტს ია მოქიას თუ რითი იყო დასაბუთებული შტატის დამატება იურიდიულ სამსახურში, როცა ამ სამსახურში მყოფი იურისტი გადადის საოლქო კომისიაში ქართული-ოცნების წარმომადგენლად 4 თვის ვადით და ამავე დროს გამგეობა შემოდის შტატის დამატების თხოვნით. ასევე მან აღნიშნა, რომ შესაძლებელია მოიძებნოს ადამიანი ვინც ამ პიროვნების ნაცვლად გადავა საოლქო კომისიაში და ადგილზე მყოფ იურისტს დაევალოს აღნიშნული ფუნქციის შესრულება ბრძანებით.

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელმა ია მოქიამ უპასუხა რომ შტატის დამატება, როგორც იურიდიული სამსახურის უფროსის შოთა ჩაგუნავას მოხსენებით ბარათში არის აღნიშნული დასაბუთდა იმით რომ სასამართლოსთან ურთიერთობის განხრით იურიდიულ სამსახურს სჭირდება საშტატო ერთეულის დამატება, რომელსაც დაევალება სასამართლოებთან წარმომადგენლობა.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ მოითხოვა დეტალური ინფორმაცია მუნიციპალიტეტის იმ თანამშრომელთა შვებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც გადასულია საოლქო კომისიაში, ასევე მან დასვა შეკითხვა იღებს თუ არა ეს ადამიანები შვებულების თანხას და ამავედროულად გადასვლის შემდგომ ხელფასს იმ სამსახურში, რამდენად სწორია ეს ყველაფერი და არსებობს თუ არა შესაბამისი ბრძანება ამ პირთა შვებულების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელმა ია მოქიამ განმარტა რომ, აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით გამგეობის მხრიდან ის ვერ ისაუბრებს, ხოლო რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეს მისი თქმით კანონის შესაბამისად იმყოფება კუთვნილ შვებულებებში ერთი თვის ვადით, საარჩევნო კოდექსით დასაშვებია საჯარო მოხელე წავიდეს ოლქში სამუშაოდ და ისარგებლოს როგორც კუთვნილი ისე არაანაზღაურებადი სამუშაოთი, ასევე საჯარო სამსახურის შესახებ კანონით მოხელეს უფლება აქვს არაუმეტეს 1 წლისა იმყოფებოდეს უფასო შვებულებაში.

დეპუტატმა კახა ასკურავამ დასვა შეკითხვა იმ ფორმით, რითაც გადაიანგარიშებოდა კვოტირება თუ რამდენმა ადამიანმა უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ირღვევა თუ არა ახალი შტატის დამატებით ეს კვოტირება. ასევე ის დაინტერესდა თუ რატომ არის ამდენი ხნის მანძილზე ვაკანტური საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის ადგილი, მაშინ როცა უამრავი კონკურს გავლილი ადამიანი არის სამსახურის გარეშე დარჩენილი.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ ხაზგასმით აღნიშნა რომ კონკურსანტ მარიამ ჩიკაშუას, რომელსაც ყველა ეტაპი წარმატებით ჰქონდა გავლილი, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ იქნა დაწუნებული მხოლოდ იმიტომ რომ მისი მეგობრის შვილი იყო, ასევე მისი თქმით პოლიტიკური ნიშნით იქნა დაწუნებული კახა ასკურავას ძმის ცოლი ეკა ხვედელიძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე არცერთი, წინააღმდეგი 3

დღის წესრიგის მეორე საკითხზე ფრაქციის „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ მიერ საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ №283 (20/05/2016) წერილზე საკრებულოს თავმჯდომარის საპასუხო №322 (06/06/2016) წერილის განხილვა სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ მან აღნიშნა, რომ ფრაქციის წერილი შეეხებოდა იმ დაგეგმილ პროვოკაციას რომელსაც ადგილი ჰქონდა 27 აპრილის საკრებულოს სხდომაზე, რისი საქმის კურსშიც იყო საკრებულოს თავმჯდომარე. მისი შეფასებით ეს არის სამარცხვინო თანამშრომლობა და ასეთი ფაქტებით იზღუდება ხალხის მიერ არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების განხორციელება, მისი თქმით მიუხედავად 9 წლიანი რეჟიმის წამოყვადრებისა ვერც ერთ შემთხვევას ვერ გაიხსენებს ვერავინ, როცა განსხვავებული აზრის ოპოზიციური დეპუტატების მიმართ გამოყენებული იყო მსგავსი მდაბიო საქციელი.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა რომ საკრებულოს შეკრების პირველივე დღიდან ისინი იყვნენ კონსტრუქციულები, მიუხედავად იმ აგრესიული ფონისა რომელიც მუდმივად იგრძნობოდა ხელისუფლების ცენტრალური თუ ადგილობრივი წარმომადგენლების მხრიდან.

ასევე მან აღნიშნა რომ, პირველ სესიაზე როდესაც კომიის თავმჯდომარის კენჭისყრა უნდა ჩატარებულიყო და კენჭი უნდა ეყარა, მისი თქმით საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით მეგობარი მივიდა და გადასცა რომ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიეღო, წინააღმდეგ შემთხვევაში მისით დაინტერესდებოდა უშიშროება და პრობლემები შეექმნებოდა მის ოჯახს, ასევე კახა ასკურავას მიერ ინიცირებული 100% იანი სახელმწიფო დაფინანსების მოპოვებული სტუდენტების წახალისების მხარის დაჭერის შემდგომ რიგი პრობლემები წარმოიშვა, ასევე მრავალი პროექტი ჰქონდა ფრაქციას რომელსაც არ იქნა გაზიარებული.

დეპუტატმა კახა ასკურავამ დასვა შეკითხვა თუ რამდენად სწორია პროპორციულად არჩეულ დეპუტატებს მაჟორიტარებისგან განსხვავებით არ შეეძლოს შუამდგომლობის დაყენება.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ განმარტა რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2014 და 2015 წლის ბიუჯეტი შეაფასა უარყოფითად. თუმცა ეს სიტყვა რატომღაც დასკვნაში არ ჩანდა და როცა მან იკითხა თუ რატომ არ იყო ოფიციალურად დაფიქსირებული განმარტეს რომ ხელმძღვანელობას არ ესია მოვწინააღმდეგებოდა ეს ფაქტით თუმცა კომიის თავმჯდომარემ მაინც დააფიქსირა ეს ფაქტი. მისი თქმით ასევე სამარცხვინო ფაქტი იყო 2015 წლის ბიუჯეტის აუდიტის დასკვნის საჯარო განხილვის სხდომა როცა საკრებულოს და მუნიციპალიტეტის გამგებელმა თავი აარიდა სხდომაში მონაწილეობას, სამარცხვინო ფაქტი იყო მისი შეფასებით თანადაფინანსების საკითხზე 4 ჯერ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ ასევე აღნიშნა რომ, საკრებულოს თავმჯდომარეს არც მაშინ გამოუჩენია კოლეგიალურობა, როცა ე.წ ზონდერებმა დაარბიეს ნაციონალური მოძრაობის ოფისი, ხოლო ხელისუფლების მორჩილი პოლიცია სრულიად დემორალიზებული და უმოქმედოა და დღემდე არანარი რეაგირება არ მომხდარა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დაუსჯელობამ წაახალისა ეს ხალხი და შემდგომ 27 აპრილის სხდომაზე იყო მცდელობა პროვოკაციის მოწყობის.

მისი აზრით საკრებულოს და გამგებლის პასუხი ამ ფაქტთან დაკავშირებით იყო სრულიად უპასუხისმგებლო, რადგან საკრებულოს თავმჯდომარეს და გამგებელს აქვს პოლიტიკური ვალდებულება და აღნიშნული ფაქტი უნდა ყოფილიყო დაგმობილი და შესამაბისი სამსახურების მიერ გამოძიებული.

დეპუტატმა კახა ასკურავამ კიდევ ერთხელ მოუწოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და პრემიერ მინისტრს დაინტერესდეს ოფისის დარბევის საქმით და გამოძიება დაიწყოს აღნიშნულ ფაქტზე. მისი თქმით დარბევაში მონაწილეობდნენ ააიპის თანამშრომლები და მუნიციპალიტეტის პირველი პირები ვალდებულნი იყვნენ შესაბამისი რეაგირება მოეხდინათ, რადგან მათ დაქვემდებარებაში იმყოფებიან ეს თანამშრომლები.


დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ განაცხადა რომ საკრებულოს თავმჯდომარის და მუნიციპალიტეტის გამგებლის ზაზა ურუშაძის დამსახურებაა, რომ დღეს მისი შვილები პოლიტიკური დევნილები არიან და სხვა ქვეყანას ლტოლვილად ჩაბარდნენ. ის ხაზგასმით აღნიშნავს რომ თუ რაიმე პრობლემა შეექმნება მის შვილებს და ოჯახს სრულ პასუხისმგებლობას მათ აკისრებს. ასევე ის აცხადებს რომ პრემიებთან დაკავშირებული ბრძანება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ძალადობის ქვეშ იყო დაწერილი.

ასევე მან განმარტა, რომ გულის კლინიკის ხელმძღვანელი თაზო ორაგველიძე, რომელიც მრავალ ლანჩხუთელს დახმარებია, შეიყვანეს შეცდომაში და ექიმები ჩამოაყვინისეს სახელმწიფოს ხარჯზე, რაც პირდაპირ ითვლება ამომრჩევლის მოსყიდვად წინა საარჩევნოდ.

ფრაქციის თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძემ განაცხადა რომ, 27 აპრილის საკრებულოს სხდომაზე მოსვლის შემდგომ დაინტერესდა თუ რატომ იყო მუნიციპალიტეტის შენობაში ამდენი ააიპის თანამშრომელი და როგორც მან განაცხადა მას ეს ფაქტი აუხსნეს შემდეგნაირად რომ ისინი ხელფასის მომატების მოთხოვნით იყვნენ მოსულები. მისი თქმით ადასტურებს თუ არა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ამ ფაქტს, რომ ააიპის თანამშრომლები იმ დღეს ხელფასისმატების თხოვნით იყვნენ მოსულები.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
თავმჯდომარე:



ელგუჯა ჩხაიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ლანჩხუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22 ივნისი 2016 წელი
12.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ელგუჯა ჩხაიძე	11 40	
2	გიორგი გოგუაძე		
3	კახაბერ ასკურავა	4	11 45